

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის,
განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა
კომისიის სხდომის

ოქმი N 1

ქ. თელავი

2018 წლის 16 იანვარი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა მამუკელაშვილი, იოსებ
პარწიკანაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე,
გიორგი ქიზიყელაშვილი, მიხეილ
გრემელაშვილი, ლევან ლილუაშვილი,
ბაადურ რევაზიშვილი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი,
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის, ჯანმრთელობის
დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი
გიორგი ენუქიძე, ამავე სამსახურის ჯანმრთელობის
დაცვის განყოფილების უფროსი ეკატერინე მიქელაძე,
ამავე სამსახურის სოციალურ საკითხთა განყოფილების
უფროსი ანნა ასაბაშვილი. ა.ა.იპ თვითმმართველი
ქალაქი თელავის „ბაგა-ბაღები“-ის გაერთიანების და
თვითმმართველი თემი თელავის ა.ა.იპ „ბაგა-ბაღები“-ის
გაერთიანების რეორგანიზაციაზე პასუხისმგებელი პირი
თინათინ ხანჯალიაშვილი.

დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული „ზაგა-ზაღები“-ს ავტორიზაციასთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტების პროექტების განხილვა.

მომხს: თ . ხანჯალიაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებული 2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის განხილვის შესახებ.

მომხს: გ. ენუქიძე

მოისმინეს:1. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული „ზაგა-ზაღები“-ს ავტორიზაციასთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტების პროექტების განხილვა.

თ. ხანჯალიაშვილმა კომისიის წევრებსა და დამსწრებს გააცნო კანონი - „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, მან ასევე ისაუბრა ზემოაღნიშნული კანონის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ძირითად პასუხისმგებლობაზე.

აზრი გამოთქევს: გ. მამუკელაშვილმა ლ. კოჭლოშვილმა აღნიშნეს, რომ საჭიროა შეიქმნას თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში სამუშაო ჯგუფი ავტორიზაციის ეფექტურად განხორციელების მიზნით.

ბ. რევაზიშვილმა განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში დაუჭერს მხარს სამუშაო ჯგუფის შექმნას თუ თვითონაც აქტიურად ჩაერთვება სამუშაო პროცესში.

გადაწყვიტეს: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული „ზაგა-ზაღები“-ს ავტორიზაციასთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტების პროექტების წარდგენა საკრებულოსათვის განსახილველად.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებული 2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის განხილვის შესახებ.

გ. ენუქიძემ კომისიას გააცნო თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა 13 პროგრამა.

აზრი გამოთქვას: გ. მამუკელაშვილმა აღნიშნა, რომ სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების პროგრამით არ არის გათვალისწინებული სამედიცინო დანიშნულების საგნები.

ლევან ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ სოციალურ პროგრამაში: „ თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ახალდაბადებულთა ოჯახებზე პროგრამის ფარგლებში ფინანსური დახმარება გაიცემა ბავშვის დაბადებიდან 6 თვის ვადაში ერთჯერადად შემდეგი სახით: ა) ყოველ სოციალურად დაუცველ ოჯახზე, რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57 000 (ორმოცდაჩვიდმეტი ათასი) ქულას, პირველ ახალშობილზე გაიცეს ფინანსური დახმარება 200 ლარის ოდენობით, მეორე ახალშობილზე- 250 ლარის ოდენობით, ხოლო ტყუპების დაბადების შემთხვევაში 300 ლარის ოდენობით; ბ) ყოველ სოციალურად დაუცველ ოჯახებზე, რომელთა სარეიტინგო ქულა განსაზღვრულია 57 000(ორმოცდაჩვიდმეტი ათასი) ქულის ზემოთ 65 000 (სამოცდახუთი ათასი) ქულის ჩათვლით, პირველ ახალშობილზე გაიცეს ფინანსური დახმარება 150 ლარის ოდენობით, მეორე ახალშობილზე 200- ლარის ოდენობით, ხოლო ტყუპების დაბადების შემთხვევაში-250 ლარის ოდენობით.

გ)ყოველ სოციალურად დაუცველ ოჯახებზე, რომელთა სარეიტინგო ქულა განსაზღვრულია 65 000(სამოცდახუთი ათასი) ქულის ზემოთ 100 000 (ასი ათასი) ქულის ჩათვლით, პირველ ახალშობილზე გაიცეს ფინანსური დახმარება- 100 ლარის ოდენობით, მეორე ახალშობილზე-150 ლარის ოდენობით, ხოლო ტყუპების დაბადების შემთხვევაში -200 ლარის ოდენობით“

მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ რა ოდენობის ფინანსური დახმარებაც გაიცემა პირველ ახალშობილზე, გაორმაგებული ოდენობით გაიცეს, როგორც ორ, ასევე სამი ტყუპი ახალშობილის დაბადების შემთხვევაშიც.


გ. ენუქიძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერია კომისიაზე გამოთქმულ შენიშვნებს გაითვალისწინებს საკრებულოს სხდომამდე.

ბადურ რევაზიშვილმა განაცხადა, რომ კომისიაზე წარმოდგენილი სოციალური პროგრამები მისთვის მისაღებია მაგრამ არ უჭერს მხარს რადგან თვლის რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი არასწორადაა მიღებული.

გადაწყვეტის:

თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებული 2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამები კომისიაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე



ლევან კოჭლოშვილი